სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/09

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის დებულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 თებერვლის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განიხილა და დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტები, რომელიც ითვალისწინებს სამსახურების დაქვემდებარების ცვლილებებს, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური რექტორის ნაცვლად დაექვემდებაროს ვიცე-რექტორს, ხოლო პერსპექტიული განვითარების სამსახური ნაცვლად რექტორისა – რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში;
2. საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**